

მწვანე ქალაქების ჩარჩო პროექტი (GrCF) - თბილისის მყარი ნარჩენები

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: 47582

ბიზნეს სექტორი: ინფრა ევრაზია

შეტყობინების ტიპი: სახელმწიფო

გარემოს დაცვის კატეგორია: B

საბჭოზე გატანის თარიღი: 2018 წლის 11 სექტემბერი

სტატუსი: ხელმოწერილი

პროექტის მოკლე ანოტაციის გამოქვეყნების თარიღი: 2019 წლის 23 ივლისი

პროექტის აღწერა

ინვესტიცია ხელს შეუწყობს „მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში ქ. თბილისში გამოვლენილი პრიორიტეტული საჭიროებების დაკმაყოფილებას. ეს პროექტი „მწვანე ქალაქების ჩარჩო პროექტის“ ფარგლებში შემოთავაზებული შემდგომი ინვესტიციაა. მისი დახმარებით მოხდება მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება, რაც ქ. თბილისში ამ სექტორს მნიშვნელოვანად გააუმჯობესებს.

15 მილიონამდე ევროს ოდენობის სესხი გამოყენებული იქნება მყარი ნარჩენების, როგორც საოპერაციო, ისე ტექნიკური მომსახურების მანქანებისა და დანადგარების შესაძენად, არსებული გადამცემი სადგურის მოდერნიზაციისა და თბილისში მოქმედი ნაგავსაყრელის რეაბილიტაციისთვის.

პროექტის მიზნები

პროექტი მიზნად ისახავს მყარი ნარჩენების მომსახურების გაუმჯობესებაში ხელშეწყობას და საერთო ჯამში თბილისში გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გარდაქმნის ეფექტი

ძლიერ კარგი

პროექტს ექნება შემდეგი გარდაქმნის ეფექტი:

გარდაქმნის ეფექტის მახასიათებელი „მწვანე ეკონომიკა“. ნარჩენების გატანის სისტემის გაუმჯობესებით პროექტი მოაგვარებს „მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმაში“ გამოვლენილ მთავარ გარემოსდაცვით პრობლემებს. პროექტის შედეგად გაუმჯობესდება მყარი ნარჩენების მართვა და შემცირდება გარემოზე ნარჩენების გატანით გამოწვეული უარყოფითი გავლენა, რადგან მოხდება დაბალი ემისიის მქონე სატრანსპორტო საშუალებების შექმნა და გაუმჯობესდება ნარჩენების გატანის მარშრუტის დაგეგმარების ეფექტიანობა.

პროექტი ასევე აკმაყოფილებს ჩარჩო ფორმატით განსაზღვრულ კრიტერიუმებს შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების საქმიანობიდან გამომდინარე ადგილობრივი დაბინძურების ან სასათბურე აირების ემისიის შემცირების ნაწილში სულ მცირე 15 პროცენტით მაინც. პროექტის განხორციელების შედეგად ნახშირორჟანგის ემისიის კლება მოსალოდნელია წელიწადში 9596 ტონიდან 7895 ტონამდე, რაც დაახლოებით 18 პროცენტით შემცირდება.

გარდაქმნის ეფექტის მახასიათებელი „მართვის მაღალი ხარისხი“. პროექტი არის 2017 წლის სექტემბერში თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმით“ გამოვლენილი და რეკომენდებული ინიციატივა. „მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმის“ მიზანია გარემოსდაცვითი საკითხების შეფასება, სამიზნე ორიენტირების განსაზღვრა და პრობლემების დადგენა, ასევე ზიანის შემარბილებელი ინიციატივებისა და შესატყვისი ინიციატივების გამოვლენა. „მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმით“ ქალაქს მოეთხოვება ნარჩენების გატანის აპარატურის მოდერნიზება, მარეგულირებელი და გეგმირებითი შესაძლებლობების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდისკენ მიმართული საინფორმაციო კამპანიის წარმოება ნარჩენების წარმოქმნის შემცირების აქტუალურ საკითხზე. პროექტით მოხდება ამ საკითხების მოგვარება „დაინტერესებული წრეებისა და მხარეების ჩართულობის გეგმის“, ასევე „მუნიციპალური მყარი ნარჩენების სტრატეგიის“ შემუშავებისა და განხორციელების გზით. ამ ინიციატივებით მოხდება ნარჩენების სექტორის ფუნქციონირების მიმოხილვა და სამოქმედო გეგმის შემუშავება მართვისა და ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. მოსალოდნელია პროექტისა და სტრატეგიის განხორციელებას შედეგად მოჰყვეს ფინანსური ან/და საოპერაციო გაუმჯობესება, რაც ხარჯების 10 პროცენტით შემცირების ტოლფასი იქნება.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

საქართველოს სახელმწიფო

საქართველო, თბილისის მუნიციპალიტეტი და შპს „თბილსერვის ჯგუფი“.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსების ჯამი

15 000 000.00 ევრო

პროექტის მთლიანი ღირებულება

15 000 000.00 ევრო

გარემოს დაცვის და სოციალური საკითხები

კატეგორია B (2014 წელს დამტკიცებული „გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის“ მიხედვით).

საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს მყარი ნარჩენების მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენასა და ექსპლუატაციას, ნარჩენების არსებული გადამცემი სადგურისა და თბილისის ნაგავსაყრელზე ფილტრაციისა და გაწმენდითი სისტემების მოდერნიზებას, მოსალოდნელია ძალიან სასარგებლო ეფექტის მქონე აღმოჩნდეს. გამოვლენილი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვა მოხდება „გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმის“ (ESAP) განხორციელების გზით. ამ პროექტს აქვს „მწვანე ეკონომიკად გარდაქმნის“ (GET) კომპონენტის 100 პროცენტი.

პროექტით მოხდება ნარჩენების მართვის პრაქტიკის საერთო გაუმჯობესების ხელშეწყობა, ადამიანთა ყოველდღიური ყოფის გაუმჯობესება ნარჩენების არა-სანიტარული მოპყრობიდან მომდინარე ჯანმრთელობისთვის საზიანო ეფექტის შემცირებით, ნიადაგისა და წყალქვეშა წყლების დაბინძურების რისკის შემცირება ფილტრაციისა და გაწმენდითი სამუშაოების დახვეწით. გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სიღრმისეული შესწავლა ეკონომიკური დასაბუთების ფარგლებში (ESDD) განხორციელდა დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზის (FS) ფარგლებში და ის მოიცავდა შესაბამისი გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური მოთხოვნების, ასევე ნარჩენების მართვის არსებული პრაქტიკის მიმოხილვას, გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის ანალიზს, პროექტთან დაკავშირებული სარგებლის მიმოხილვას. ყოველივე ამის საფუძველზე მოხდება მანქანა-დანადგარებისთვის შემოთავაზებული ტექნიკური მახასიათებლებით ევროკავშირის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

დადინდა, რომ არსებულ პრაქტიკასთან და პროექტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები მოიცავს შემდეგს: სწორი გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, ასევე საკადრო რესურსების მართვის სისტემის არქონა, ემისია და ნიადაგის წყლების დაბინძურება, ადგილობრივ თემზე და მის ყოფაზე გავლენა, უვნებლობა და უსაფრთხოება, ნარჩენების მართვა, სამშენებლო პროცესით გამოწვეული ეფექტი მაგ: ხმაური, დისკომფორტი, კონტრაქტორების მართვა და მიწოდების ჯაჭვი.

პროექტი განხორციელდება ნაგავსაყრელზე, რომელიც თავდაპირველად დაპროექტდა ევროკავშირის დიზაინის სტანდარტების დაკმაყოფილების განზრახვით. ნარჩენების სეგრეგაციის პრაქტიკა ამჟამად არ არის დანერგილი. თუმცა, კომპანია ადრე ცდილობდა ნარჩენების მართვის სისტემაში გადამუშავება დაენერგა, თუმცა დასახული მიზნის მიღწევა ვერ შეძლო ნარჩენების მართვის სტრატეგიის გარეშე. პროექტი ტექნიკური თანამშრომლობის ფორმატში იძლევა ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავებას და მისი დამტკიცება შესასრულებელ პირობად იქნება პროექტში ჩადებული. ყოველივე ამის შედეგად კომპანია

შემდეგს ევროკავშირის ნარჩენების მართვის დირექტივების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას ნარჩენების მართვის სტრატეგიით განსაზღვრულ ვადებში.

გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა შემუშავებულია გამოვლენილი საკითხების მოსაგვარებლად და სხვა მრავალ ფაქტორს შორის მოიცავს სრულყოფილი გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის, უვნებლობისა და სოციალური საკითხების მართვის სისტემის შემუშავებასა და განხორციელებას, გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის დანერგვას, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების გამოყენების სისტემის დადგენას ახალი ობიექტების შესაქმნელად; გასაჩივრების მექანიზმის, რესურსების ეფექტიანობის, ეროვნული ეკოლოგიური ექსპერტული ცოდნის მოთხოვნების, ნაგავსაყრელებზე აირის შეგროვების სისტემის და კანალიზაციის გაწმენდის გეგმის დანერგვას ქალაქის მხარდაჭერით, გამოვლენილი ობიექტების დახურვითა და მოწესრიგებით, მუშახელისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებით. ამასთანავე, „განახლებული ურბანული ცხოვრების ჩარჩო მექანიზმი“ შემუშავდა ნაგვის უკანონო ამკრეფთა საკითხის მოსაგვარებლად.

პროექტისთვის შემუშავდა არა-ტექნიკური ანოტაციისა და დაინტერესებული წრეების ჩართულობის გეგმისგან შემდგარი ინფორმაციის განსაჯაროების პაკეტი. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი განხორციელებს პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგს წლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიშების, ასევე აუცილებლობის შემთხვევებში განხორციელებული ვიზიტების საფუძველზე.

ტექნიკური თანამშრომლობა

პროექტის ხელშეწყობის მიზნით სრულყოფილი ტექნიკური დახმარების პაკეტის შემუშავება არის განსაზღვრული. მოიაზრება შემდეგი ინიციატივების განხორციელება ამ ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში:

ხელმოწერამდე:

- ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზი ტექნიკური, ფინანსური და ეკონომიკური დასაბუთებით. ამ ინიციატივის ჯამური ხარჯია € 249 925, რასაც ავსტრიის მთავრობა აფინანსებს.

ხელმოწერის შემდეგ:

- „პროექტის განხორციელებაში ხელშეწყობა“, რომელიც კომპანიას დაეხმარება ყველა ტენდერის მომზადებაში და შეფასებაში, კონტრაქტების გაფორმებაში და ადმინისტრირებაში. ამ ინიციატივის ხარჯია € 388 000 და მას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის აქციონერთა სპეციალური ფონდი აფინანსებს.

- „დაინტერესებული წრეებისა და მხარეების ჩართულობის პროგრამა“, რომელიც დაეხმარება კომპანიას საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და ჩართულობის გეგმის განხორციელებაში. ამ ინიციატივის სავარაუდო ხარჯია € 200 000 და მას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის აქციონერთა სპეციალური ფონდი აფინანსებს.

- „მუნიციპალური მყარი ნარჩენების სტრატეგია“, რომელიც ქალაქს დაეხმარება მუნიციპალური ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში. ამ ინიციატივის სავარაუდო ხარჯია € 500 000 და ის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მუნიციპალური პროექტების მხარდაჭერის მექანიზმიდან დაფინანსდება.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ლამა ქაჯაია l.kajaia@tbsg.ge 995 32 2611837 www.tbsg.ge

საქართველო, თბილისი 0182, კახეთის გზატკეცილი N7

საქმიანი ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობების ან შესყიდვებისთვის, დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებისთვის, იხილეთ **EBRD შესყიდვები** : ტელ: +44 20 7338 6794 ელექტრონული ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი ინფორმაციის მიღების მიზნით

EBRD-ის პროექტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული შესყიდვებთან: ტელ: +44 20 7338 7168; ელექტრონული ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკა

[საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკა](#) განსაზღვრავს თუ როგორ უზრუნველყოფს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ინფორმაციის გაცემას მონაწილე მხარეებისთვის, რათა ხელი შეუწყოს მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და ოპერაციების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

პროექტების ფარგლებში საჩივრების წარდგენის მექანიზმი (PCM)

პროექტის ფარგლებში საჩივრების წარდგენის მექანიზმი (PCM) არის EBRD-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმი. მოცემული მექანიზმი ითვალისწინებს კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ EBRD-ის დაფინანსებით განხორციელებული იმ პროექტების შესახებ წარდგენილი საჩივრების დამოუკიდებელ განხილვას, რომლებმაც სავარაუდოდ, გამოიწვიეს, ან შეუძლიათ გამოიწვიონ გარემოსდაცვითი/ან სოციალური ზიანი.

იხილეთ [პროექტის ფარგლებში საჩივრების წარდგენის მექანიზმის](#) (PCM) გვერდი, რათა გაიგოთ, თუ როგორ წარადგინოთ საჩივარი. PCM-ის ოფიცერი (pcm@ebrd.com) ხელმისაწვდომია თქვენს ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას წარდგენილი საჩივარი და რა კრიტერიუმები არსებობს მის რეგისტრაციასა და დასაშვებობასთან დაკავშირებით, [PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად](#).